

ანტიკური ლიტერატურა

მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსი: პოპულარობის ტერიტორია (XV-XIX საუკუნეები)

ქეთევან ფუტარაძე

putkaradze.ketevani@atsu.edu.ge

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქუთაისი, საქართველო

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.13>

ახ. წ. პირველ საუკუნეში, მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსმა დაწერა „მჭევრმეტყველების სწავლება“, რომელშიც შეცადა ეჩვენებინა ადამიანის იდეალური მოდელი, რომელიც, მისი აზრით, ერთდღოულად უნდა ყოფილიყო საუკეთესო ორატორი და და პატიოსანი კაცი, ანუ ლათინურად *a vir bonus dicendi peritus*. ეს ნაშრომი უამრავი ინტელექტუალისთვის გადაიქცა შეუცვლელ სახელმძღვანელოდ საუკუნეების განმავლობაში, სხვადასხვა ქვეყანაში. შევეცდებით, წინამდებარე ნაშრომში ვაჩვენოთ მისი ზეგავლენები სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში.

საკვანძო სიტყვები: კვინტილიანუსი, იტალია, საფრანგეთი, ინგლისი, პროტუგალია, ამერიკა.

ახ. წ. პირველ საუკუნეში, მარკუს ფაბიუს კვინტილიანუსმა დაწერა „მჭევრმეტყველების სწავლება“, რომელშიც შეცადა ეჩვენებინა ადამიანის იდეალური მოდელი, რომელიც, მისი აზრით, ერთდღოულად უნდა ყოფილიყო საუკეთესო ორატორი და და პატიოსანი კაცი, ანუ ლათინურად *a vir bonus dicendi peritus*. ეს ნაშრომი უამრავი ინტელექტუალისთვის გადაიქცა შეუცვლელ სახელმძღვანელოდ საუკუნეების განმავლობაში, სხვადასხვა ქვეყანაში. შევეცდებით, წინამდებარე ნაშრომში ვაჩვენოთ მისი ზეგავლენები სხვადასხვა გეოგრაფიულ არეალში.

იტალიაში ძალიან მოსწონდათ კვინტილიანუსის „მჭევრმეტყველების სწავლება“. 1416 წელს ფლორეციელმა ჰუმანისტმა, პოჯიო ბრაჩოლინიმ, ალმოაჩინა კვინტილიანუსის ამ ნაშრომის სრული ტექსტი. ეს იყო უდიდესი მნიშვნელობის აღმოჩენა, რადგან მანამდე არსებული ხელნაწერი იყო ძალიან დაზიანებული და აკლდა ბევრი ნაწილი. კვინტილიანუსის ამ ნაშრომით დაინტერესდნენ ფრანჩესკო პეტრარკა, ჯოვანი ბოკაჩი, კოლუჩიო სალუტატი, პიერ პაოლო ვერჯერიო და სხვები.

Institutio oratoria განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა

აკაპი წერვთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოაშვი, №1(23)

იტალიაში რიტორიკის მასწავლებელთა შორის, თუმცა მალე მისით დაინტერესდნენ სრულიად სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები (Adamik 1990-1992:123-124).

კვინტილიანუსის პოპულარობა გაიზარდა კიდევ უფრო მას შემდეგ, რაც ბეჭდვა გამოიგონეს, რადგან 1470 წლიდან გაჩნდა მისი ნაშრომის უამრავი გამოცემა. რომაელის პრესტიჟი გაიზარდა იტალიელ ჰუმანისტთა შორის და მეთხუთმეტე საუკუნის განმავლობაში განათლებული, ინტელექტუალი იტალიელები დიდი მონდომებით იყენებდნენ მის საგანმანათლებლო სწავლებებს. ასეთები იყვნენ: ლეონ ბატისტა ალბერტი, ენეა სილვიო პიკოლომინი, მატეო პალმიერი, ლორენცო ვალა და სხვები (Barilli 1989:146).

გერმანიკულ ევროპაში (გერმანია, ნიდერლანდები, შვეიცარია), იტალიის მსგავსად, დიდი იყო კვინტილიანუსის სწავლებებისადმი ინტერესი, განსაკუთრებით, საგანმანათლებლო რეფორმების პერიოდში (XV - XVI სს.), როცა დაიწყეს „მჭევრმეტყველების სწავლების“ შეტანა უნივერსიტეტებში და გრამატიკულ სკოლებში, რომლებიც იყო გერმანიკულ სახელმწიფოებში კლასიკური კულტურის შესწავლის ცენტრები (Adamik 1990-1992:124-128).

გარდაამისა, ცნობილია დამიანებითავადვედაეწაფნენ კვინტილიანუსის შრომას. ესენი იყვნენ: ალექსანდრე ჰეგიუსი, იოკან მურმელიუსი, ჰენრიკ ბებელი, იოკან როიხლინი და სხვები. მათ შორის გამოირჩეოდნენ გერმანული ჰუმანიზმის საუკეთესო წარმომადგენლები: რუდოლფო აგრიკოლა და ერაზმუსი, რომლებიც ხოტბას ასხამდნენ კვინტილიანუს და მის დოქტრინებს იყენებდნენ თავიანთ შრომებში. ამით ისინი ხელს უწყობდნენ კვინტილიანუსის იდეების კიდევ უფრო გავრცელებას ევროპელ ჰუმანისტებს შორის (Barilli 1989:46).

ევროპის ამავე ნაწილში კვინტილიანუსმა დიდი როლი ითამაშა პროტესტანტული რეფორმირების პროცესების ისეთი ხელმძღვანელების იდეების ფორმირებაში, როგორებიც იყვნენ: კალვინი, ლუთერი, ცვინგლი, მელანქტონი.

კვინტილიანუსით დაინტერესდნენ ავსტრიაში, უნგრეთში, ჩეხეთის რესპუბლიკაში. მის შრომას ევროპის ამ რეგიონებში ბევრი თაყვანისმცემელი (*connoisseurs*) გამოუჩნდა (Walker 2000: 91).

ინგლისში, 1400-1800 წლებში, კვინტილიანუსი არანაკლები პოპულარობით სარგებლობდა ამ პერიოდის ინტელექტუალებში. განსაკუთრებით, განათლებაზე საუბრის კონტექსტში, რადგან ისე, როგორც მთელ ევროპაში, ინგლისელი სტუდენტებისთვისაც კლასიკურ კულტურასთან მიახლოების ერთადერთი გზა განათლება იყო (Terrill 2016: 157-171).

ქ. ფუტკარაძე

წლების განმავლობაში, სპეციალისტთა უზარმაზარმა არმიამ ცხადად აჩვენა კვინტილიანუსის *Institutio oratoria*-ს როლი ინგლისის გრამატიკულ სკოლებში. რაც მთავარია, ამ ნაწარმოების ინტენსიური შესწავლა დაიწყეს ოქსფორდსა და კემბრიჯში. კვინტილიანუსის თაყვანისმცემელთა შორის აღმოჩნდნენ ისეთი ინგლისელი მოაზროვნები და მასწავლებლები, როგორებიც იყვნენ: თომას მორი, თომას ელიოტი, რიჩარდ მულკასტერი.

ამ პერიოდის ინგლისში კვინტილიანუსის ზეგავლენები არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ საგანმანათლებლო სფეროთი. ასეთივე დიდი ზეგავლენა ჰქონდა რომაელავტორს და მის შრომას ლიტერატურაზე. ვინაიდან მაშინ პოეზიაზე დიდი გავლენას ახდენდა რიტორიკის თეორია, ბევრი ცნობილი პოეტი იყენებდა მის შეხედულებებს საკუთარ შემოქმედებაში. ესენი იყვნენ: ჯორჯ პუტენჰემი, უილიამ ბები, ჯონ დონი, ბენ ჯონსონი და სხვები (Adamietz 1986: 2240-2271).

დიდი დოზით იყენებდა კვინტილიანუსის დოქტრინებს უილიამ შექსპირი. ტ. ვ. ბოლდვინის აზრით, შექსპირის პერსონაჟები ხშირად საუბრობენ, როგორც დახელოვნებული ორატორები და შექსპირის რიტორიკულ განათლებაში ყველაზე დიდი წვლილი სწორედ კვინტილიანუსის „მჭევრმეტყველების სწავლებამ“ ითამაშა. ინგლისელი დრამატურგისთვის კვინტილიანუსი იყო „უმაღლესი ავტორიტეტი“.

ინგლისში კვინტილიანუსი მალიან პოპულარული იყო მთელი სამი საუკუნის განმავლობაში (XVI- XVIIIსს.) და დიდი ზეგავლენა ჰქონდა ინგლისურ ჰუმანიზმზე. კვინტილიანუსის ნაშრომის საუკეთესო ცოდნას ამჟღავნებდნენ ამ საუკუნეების ისეთი მოაზროვნები, როგორებიც იყვნენ: ლორდიჩესტერფილდი, ალექსანდრეპოპი, უილიამპიტი, ედვარდ გიბონი და დავიდ ჰიუმი. შეიძლება ითქვას, რომ კვინტილიანუსის ნაშრომმა ზეგავლენა მოახდინა ინგლისში მთელ ლიბერალურ განათლებზე (Vitanza 1994: 209-210).

საფრანგეთში კვინტილიანუსით განსაკუთრებით დაინტერესდნენ 1450-1850 წლებში. უპირველესი, რაც უნდა აღინიშნოს, არის ის, რომ აქ კვინტილიანუსის გავლენის მასშტაბები ძალიან ფართო და ღრმაა, მაგრამ განსაკუთრებული ანალიზის საგანი შეიძლება გახდეს მისი ზეგავლენა გრამატიკაზე, პოეზიაზე, რიტორიკასა და განათლებაზე (Adamietz 1986: 2231-2240).

კვინტილიანუსს ბაძავდნენ XVI საუკუნის ისეთი ფრანგი ჰუმანისტები, როგორებიც იყვნენ ჟან გერსონი, ნიკოლას ლუი. სწორედ მათი მონდომების შედეგად გავრცელდა კვინტილიანუსის დოქტრინები მთელ საფრანგეთში.

აღსანიშნავია, რომ საფრანგეთში ჰუმანიზმის განვითარება აღინიშნა პოეზიის ახალ ფორმით, რომელიც დაწერილი იყო ხალხური ენით და

აპაკი წერვთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოაშვე, 2024, №1(23)

ეყრდნობოდა რიტორიკის წესებს. ამის გამო, კვინტილიანუსის სწავლებები ცნობილი იყო ამ ე.წ. „მჭევრმეტყველური ტიპის“ პოეტებისთვის, როგორებიც იყვნენ: ჟან რობერტი და ფრანსუა ჟილბერტი.

XVI საუკუნეში, საფრანგეთში, ჰუმანიზმის გავრჩელების პერიოდში, ანტიკური ეპოქის კვინტილიანუსის მსგავსი ავტორები ინტენსიურად ისწავლებოდა. ეპოქის ერთ-ერთი დიდი ჰუმანისტი, დილიან ბუდე, აქტიურად სწავლობდა და შემდეგ აქტიურად იყენებდა რომაელი ავტორის იდეებს საკუთარ შრომებში (Meador 1983: 160-176). იგივე შეიძლება ითქვას ამ დროის ისეთ ცნობილ მასწავლებლებზე, როგორებიც იყვნენ: რამე პიერ დე ლა, მათურინ კორდიე და სხვები. ისინი მაქსიმალურად ცდილობდნენ, ხელი შეეწყოთ, რომ კვინტილიანუსის შრომა გავრცელებულიყო სტუდენტებს შორის (Calboli 2010:15-28).

დიდი იყო კვინტილიანუსის ზეგავლენა XVI საუკუნის ფრანგ გრამატიკოსებსა და რიტორებზე, რადგან მათთვის სწორედ კვინტილიანუსი იყო მჭევრმეტყველაში მთავარი ავტორიტეტი.

მნიშვნელოვანი იყო რომაელი ორატორის ზეგავლენა ამ საუკუნის ფრანგულ პოეზიაზე, რომელიც *La Pléiade*-ს სახელით იყო ცნობილი. ერთ-ერთი ავტორი, რომლის ნაშრომს - *Défense et Illustration de la langue française* (1549)-ს, აშკარად ეტყობა კვინტილიანუსის გავლენა, იყო იოაკიმ დუ ბელი. კვინტილიანუსის დარიგებებით უხვად სარგებლობდნენ სხვა პოეტებიც: მოლიერი, ფონტანი, დენის დიდრო, რუსო, ვოლტერი და სხვები (Vickers 1988:89).

შეიძლება თამამად ითქვას, რომ კვინტილიანუსი საფრანგეთში ძალიან მნიშვნელოვანი ავტორი იყო რამდენიმე საუკუნის განმავლობაში.

პორტუგალიაში დიდი წვლილი მიუძღვის კვინტილიანუსს რიტორიკის, ლიტერატურის, განათლების საკითხების ჩამოყალიბება-განვითარებაში. იწყება დიდი კამათი ამ საკითხებზე და ბევრი პორტუგალიური ჰუმანისტისთვის მისაღები სწორედ კვინტილიანუსის აზრები და მისი *Institutio oratoria* აღმოჩნდა. კვინტილიანუსის პოპულარობა აქ გაგრძელდა XVII საუკუნემდე და განსაკუთრებით იგრძნობოდა ისეთი მოაზროვნეების ნაშრომებში, როგორებიც იყვნენ ბენედიქტ პერეირა და ანტონიო დე მაჩადო.

პორტუგლიურ კულტურაში რომაელიავტორის გავლენა განსაკუთრებით აშკარაა ორ სფეროში - გრამატიკასა და პოეზიაში, ხოლო ფერნანდო ოლივეირას გრამატიკის სახელმძღვანელოს *Grammatica de Lingoagem Portuguesa* (1536) და ჯოაო დე ბაროსის *Gramatica da lingua portuguesa* (1540) მირითადი წყარო სწორედ კვინტილიანუსის „მჭევრმეტყველების სწავლება“ უტყუარად იყო (Gwynn 1999: 231).

მალე, ევროპელი ინტელექტუალების წყალობით, კვინტილიანუსის

ქ. ფუტკარაძე

სახელმა **ამერიკაშიც** მიაღწია, როცა ევროპელი განმანათლებლები შეეცადნენ, ამერიკაში ევროპული ჰუმანიზმის და კვინტილიანუსის იდეებზე დამყარებული განათლება შეექმნათ. საერთოდაც ამ ტიპის განათლება დიდი დოზით ეყრდნობოდა კლასიკოს ავტორებს (Gunderson 2000:33).

აյ კვინტილიანუსის შეხედულებები სწრაფად გარცელდა, რადგან ეს ახალი განათლების სისტემა ორატორული ხელოვნების განვითარებაზე დიდწილად იყო ორიენტირებული. ამ მიზნით, კვინტილიანუსის ნაშრომი საკვანძო ფუნქციას შეიძენდა აუცილებლად, მით უმეტეს, რომ უამრავი მისიონერული სკოლა გაჩნდა ერთხაშად. სწორედ ეს სკოლები იქცა ამერიკელებისთვის კლასიკურ ლიტერატურასთან მიახლოების მთავარი ცენტრებად, ხოლო კვინტილიანუსის *Institutio oratoria* - სტუდენტების აღზრდის გამორჩეული სახელმძღვანელოდ (Meador 1983:151-160).

გარდა ამისა, ყველა სასწავლებელში, ევროპული სკოლების მსგავსად, ისწავლებოდა ანტიკური ლიტერატურა და ამ მიმართულებითაც მნიშვნელოვანი სახელმძღვანელო, ციცერონის შრომებთან ერთად, იყო „მჭევრმეტყველების სწავლების მეათე თავი, რომელიც ლიტერატურის ისტორიის პირველ სახელმძღვანელოდ თამამად შეიძლება ჩაითვალოს (Adamietz 1986:2226-2230).

კვინტილიანუსის სახელი და აზრები განსაკუთრებით საინტერესო აღმოჩნდა სამხრეთ ამერიკაში, XVI-XIX საუკუნეებში, ისეთ მოაზროვნეებს შორის, როგორებიც იყვნენ: მატოსი, გრანადოსი, ბოლივარი და მუნგუი.

იგივე შეიძლება ითქვას ჩრდილოეთ ამერიკის უნივერსიტეტებზე - ჰარვარდზე, იალეზე, პრისტონზე, რომლებშიც XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ფაქტობრივად, ანტიკური ლიტერატურის და ორატორული ხელოვნების ინტენსიური შესწავლის ეპოქა დადგა (Calboli 2010:11-15).

ამის მაგალითია ჯონ ვორდის 1759 წელს გამოცემული „ორატორული სისტემა“, რომლის თეზების ძირითად სამაგალითო ბაზას ანტიკური ავტორების, განსაკუთრებით, ციცერონის და კვინტილიანუსის ციტირება წარმოადგენს.

ისეთმა ცნობილმა სახელმწიფო მოღვაწეებმა, როგორებიც იყვნენ ბენჯამინ ფრანკლინი და ჯონ ქვინსი ადამსი, შექმნეს ჰარვარდის უნივერსიტეტში კვინტილიანუსის შემოქმედების შემსწავლელი კურსები.

და ბოლოს, ყველაზე მთავარი-ახალ კონტინეტზე კლასიკური განათლება, ანტიკური ეპოქის ავტორები, მათ შორის, კვინტილიანუსი, ისეთივე მისაღები და საინტერესო აღმოჩნდა XVI-XIX საუკუნეებში, როგორც ბებერ ევროპაში.

ლიტერატურა

- Adamietz, J. 1986. *Quintilians “Institutio oratoria” In Aufstieg und Niedergang der romischen Welt II.32.4*, Berlin and New York.
- Adamik, T. 1990-1992. “Quintilian’s Theory of Rhetoric and Style”. *Acta Antiqua Academiae Scientiarum Hungaricae* 33.
- Barilli, R. 1989. *Rhetoric*, translated by G. Menozzi. Minneapolis, MN (Original edition; second edition 1983).
- Calboli, G. 2010. ‘Quintilien et les déclamateurs’. In *Quintilien Ancien et moderne*, edited by P. Galand et al. Turnhout, 11-28.
- Gunderson, E. 2000. *Staging Masculinity: The Rhetoric of Performance in the Roman World*. Gwynn, A. (1999), Roman Education from Cicero to Quintilian. Oxford.
- Meador, P.A., Jr. 1983. *Quintilian and the Institutio Oratoria In A Synoptic History of Classical Rhetoric*, edited by J.J. Murphy. Second edition, Davis, CA.
- Terrill. 2016. *Reproducing Virtue: Quintilian, Imitation, and Rhetorical Education*. Advances in the History of Rhetoric 19.2.
- Vickers, B. 1988. *In Defense of Rhetoric*. Oxford: Clarendon.
- Vitanza, V. J. 1994. *Writing Histories of Rhetoric*. Carbondale, IL: Southern Illinois University Press.
- Walker, J. 2000. *Rhetoric and Poetics in Antiquity*. New York: Oxford University Press.

Classics

**Marcus Fabius Quintilianus:
Area of Popularity (XV-XIX centuries)**

Ketevan Putkaradze

putkaradze.ketevani@atsu.edu.ge

Akaki Tsereteli State University

Kutaisi, Georgia

<https://doi.org/10.52340/atsu.2024.23.01.13>

In the 1st century, Marcus Fabius Quintilianus wrote “Institutio Oratoria”, in which he tried to show the ideal model of a man who, in his opinion, should be both the best orator and an honest man, or in Latin a vir bonus dicendi peritus. This work has become an indispensable guide for many intellectuals throughout the centuries in different countries. In this paper we will try to show its effects in different geographical areas.

Keywords: Quintilianus, Italy, France, England, Portugal, America.

In the 1st century, Marcus Fabius Quintilianus wrote “Institutio Oratoria”, in which he tried to show the ideal model of a man who, in his opinion, should be both the best orator and an honest man, or in Latin a vir bonus dicendi peritus. This work has become an indispensable guide for many intellectuals throughout the centuries in different countries. We will try to show its effects in different geographical areas in this paper.

In Italy they liked Quintilianus’ “Institutio Oratoria” very much. In 1416, the Florentine humanist Poggio Bracciolini discovered the complete text of this work by Quintilian. This was a discovery of great importance, as the previous manuscript was very damaged and many parts were missing. Francesco Petrarca, Giovanni Boccaccio, Coluccio Salutati, Antonio Lochi, Pier Paolo Vergerio and others were interested in this work of Quintilianus.

In Germanic Europe (Germany, the Netherlands, Switzerland), like Italy, there was great interest in the teachings of Quintilianus, especially during the period of educational reforms (XV-XVI centuries), when they began to introduce the “Institutio Oratoria” in universities and grammar schools, which were in the Germanic states centers of classical culture study.

In England, in 1400-1800, Quintilianus enjoyed no less popularity among the intellectuals of this period. Especially in the context of talking about education, because, as in all of Europe, the only way for English students to approach classical

culture was through education.

Quintilianus was especially popular in France in 1450-1850. The first thing is that the scope of Quintilianus' influence here is very wide and deep, but his influence on grammar, poetry, rhetoric and education can be the subject of special analysis.

In Portugal, Quintilianus made a great contribution to the formation and development of rhetoric, literature, and education issues. A great debate begins on these issues, and it is Quintilianus thoughts and his *Institutio oratoria* that are acceptable to many Portuguese humanists. Quintilianus' popularity here lasted until the 17th century and was especially felt in the works of such thinkers as Bento Pereira and Antonio de Macedo.

Soon, thanks to European intellectuals, Quintilianus' name reached America as well, when European educators tried to create an education based on European humanism and Quintilianus' ideas in America. In general, this type of education relied heavily on classic authors. Here the views of Quintilianus spread quickly, because this new education system was largely focused on the development of the art of oratory. For this purpose, Quintilianus' work would definitely play a key role, especially since many missionary schools appeared at once. It was these schools that became the main centers of access to classical literature for Americans, and Quintilianus' *Institutio Oratoria* - an outstanding guide for the education of students.

And finally, the most important thing - classical education on the new continent, the authors of the ancient era, including Quintilianus, were as acceptable and interesting in the 16th-19th centuries as in the old Europe.